ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4878818

ნომერი: AR1734693

თარიღი : 14.02.2020

გაცემის თარიღი : 27.02.2020

გაცნობის თარიღი : 27.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარსმან II ქველის ქუჩა, N 38; ქალაქი თბილისი , გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , რაიონი გლდანი , სოფლის შემოგარენი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გურგენიძე პ/ნ 01025015894
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიდი დიღომის დასახლება, III მიკრო/რაიონი, კორპუსი 27, ბინა 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე _ N 01.11.09.001.178, N 01.11.09.001.132, N 01.11.09.001.053, I კლასის (არაყრუ) ღობისა და საყრდენი კედლის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს და გაცნობებთ, რომ სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთ(ებ)ის ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან N 882019865601 06/11/2019წ.; N 882019865589 06/11/2019წ., N 882019919588 N 882019919588წ., საკადასტრო კოდ(ებ)ი: N 01.11.09.001.178, N 01.11.09.001.132, N 01.11.09.001.053; ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ეთანხმება ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე _ N 01.11.09.001.178, N 01.11.09.001.132, N 01.11.09.001.053, I კლასის (არაყრუ) ღობისა და საყრდენი კედლის მშენებლობის შესაძლებლობას.

- საპროექტო ღობე უნდა განთავსდეს მიწის ნაკვეთების N 01.11.09.001.178, N 01.11.09.001.132, N 01.11.09.001.053 საკადასტრო საზღვრებში.
- დაცული იქნას საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ გამავალი ხაზობრივი ნაგებობების მიმართ შესაბამისი ნორმები. დაცული იქნას უსაფრთხოების ნორმები.

გაითვალისწინეთ, მშენებლობის შეტყობინების მოქმედების ვადაა ამ შეტყობინების ჩაბარებიდან 1 წელი.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.